და მაინც, უცნაურია ქართული ბედი. ჩვენ ხშირად მაშინ ვაფასებთ ჩვენს დიდებს, როცა მათ საფლავთან დგომა გვინევს. სიცოცხლეში ვტანჯავთ, სიკვდილის შემდეგ ვამბობთ. ლალო ასათიანი კი იმ ხალხს ეკუთვნის, ვისთანაც ასეთი ფარისევლობა განსაკუთრებით მტკიცეა. მისი პოეზია თავად გვიყურებს თვალეში და გვეკითხება: მართლა გიყვართ ეს ქვეყანა, თუ მხოლოდ მაშინ გახსენდებათ, როცა პათოსი გვირდებათ? ლალო იმ საქართველოზე წერდა, რომელსაც ღირსება ჯერ კიდევ შინაგან წესად ჰქონდა. სადაც ნათქვამს წონა ჰქონდა და დემონსაც თავისი ღირსება. სადაც სამშობლო პოლიტიკური ბანერის ზომამდე არ მყირდებოდა და კაცი თავის მიწას ხმაურით კი არა, შინაგანი ერთგულებით ეკუთვნოდა.

როცა ასათიანს კითხულობ, ხვდები, რამდენად გაღარბდა ჩვენი ენა, ჩვენი გრძნობა, ჩვენი ეროვნული ინტონაცია. ხვდები, რომ სიტყვა საქართველო შეიძლება იყოს წმინდა, როცა მას სუფთა პირით ამბობ, და შეიძლება ერთ წამში დაკარგოს სიმინდე, როცა მას ანგარიშიანი კაცი საკუთარი სარგებლის ენაზე გადათარგმნის.

ლალოს საქართველო არ იყიდება, არ ქირავდება და კონიუნქტურის მიხედვით არ ტრიალებს. იგი ან ვაქვს, ან ვერასდროს მოიპოვებ. ან გტკივა, ან მისი არსი საშუალოდ უცხოდ დაგჩრება. სამშობლო ჯერ ადამიანის შიგნით უნდა შედგეს, თორემ გარეთ მხოლოდ დეკორაციად დარჩება. ასეთი პოეზია მკითხველს არ ანებებრებს. იგი არ გეფერება, არ გართობს, არ გაძინებს. პირიქით, გაღვიძებს. მისი სტრიქონი ან გზვდება, ან გჭრის.

ამიტომ 23 ივნისი მხოლოდ მოგონების დღე ვერ იქნება. ეს ეროვნული სინდისის დღეა. დღე, როცა უნდა გავზრდეთ და გვკითხოთ საკუთარ თავს: რა ვუყავით იმ ენას, რომელიც შეგინდა სისხლი ჩაასხა? რა ვუყავით იმ სამშობლოს, რომელსაც მისი თაობა ლექსითაც იყავდა და ტკივილითაც?

ლალო ასათიანი ოცდაექვსი წლის წავიდა ახალგაზრდად, მაგრამ ზოგმა ასი წელი იცოცხლა და მაინც ვერ დატოვა ერთი წრფელი წინადადება. მან კი დატოვა ხმა, რომელიც დღემდე გვასწავლის, რომ ნამდვილი პოეზია ლიტერატურული ნარმატივა კი არა, ერის სულიერი საგუთია. და ამიტომ დღეს, მისი გარდაცვალების დღეს, მხოლოდ იმის თქმა, რომ ჭაიხინაძე რომ ლალო ასათიანი ძალიან ცოტაა. უნდა ვითქვამთ უფრო გვიცხად, უფრო საბარათლიანად და უფრო მტკიცე ნულიან: თუ ლალო ასათიანი გვვადარია, მაშინ რატომ არის მისი სიტყვა ასე ცოცხალი? და თუ ჩვენ ცოცხლები ვართ, რატომ გვჭირდება მისი ხმა იმის შესახებ წყალობა, რომ გვინდა გვიყვარდეს საქართველო?

ირაკლი ყიფიანი.
23 ივნისი 2026წ.



ფიქრია ყუბიტაშვილი, ზაალ გოტოკოვილი

ახალი ლაურეატები ქრისტიანული პოეზიის ფესტივალისა – «წმინდა ნინოს ჯვარი»

27 ივნისს უკვე მეთექვსმეტე ბიბარ-თა ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი «წმინდა ნინოს ჯვარი» ფესტივალის მონაწილეებსა და სტუმრებს მასპინძლობდა მწერალთა სახლი.

ღონისძიება გახსნა ფესტივალის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარემ ლია დაუშვილმა.

ფესტივალის უიუმბო – ზაალ გოტოკოვილი (თავმჯდომარე), ვანო ჩხიკვაძე, გივი ჩიღვინაძე, აკაკი დაუშვილი ფესტივალის მთავარი პრიზით – წმინდა ნინოს ჯვარი დაჯილდოვდა; ფიქრია ყუბიტაშვილი, ალა დათუკიშვილი, მარი მაჭარაშვილი.

ფესტივალის პრიზით წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი დაჯილდოვდა: სალომე გოგოლაძე, დალი მამბიშვილი, ბერდია ნათევარიძე, ნინო უძილაური.

ფესტივალის პრიზით წმინდა ნინოს ჯვრის მედალიონი დაჯილდოვდა: ანა ერისთავი, ლიანა ბედინაძე, მაკა აბულაძე, თეო ქველაძე.

ქრისტიანული პოეზიის ფესტივალი წმინდა ნინოს ჯვარი იმართება თბილისის მერიის ფინანსური მხარდაჭერით. ფესტივალის პრიზების ავტორია მარიკა მაჭარაიანი. აქვე გთავაზობთ ფესტივალის მთავარი პრიზით დაჯილდოებული ერთ-ერთი ავტორის ლექსს.

ალა დათუკიშვილი: იოანა

გალილეის ქალბატონო იოანა, მოიხვიე ატმისფერი თავშალი, ქრისტეს გარდა რადგან მეფე იუარე, შენი თმები მეცხრე ცაზე გაშალე.

სასახლეში ზეიმია, ქალბატონო, უცოდველთა სისხლით თვრება ჰეროდე, ნამიერი სიტკბოება მიატოვე, მარადიულ სიტკბოებას ელოდე.

ელეონის მთისკენ გიხმობს ნაბიჯები, თიხის ჭურჭელს იხუტებ და ერთხარ, ჰეროდემ რომ დაგინახოს, გაგიყდება, რომ შეეძლოს და შეგიცნოს, ვინც ხარ.

რომ იცოდეს საიდუმლო თიხის ჭურჭლის – ვისი გახდი საკმეველის მემკვიდრე, როგორ სიმწრით დაიტეი ცრემლი მუჭში, რომ დაკრძალე თავად ნათლისმცემელი.


რადგან შიში მიწიერთა არის ფუჭი, ურჩევნიათ, ვერ ხედავდნენ ერთხელს, ჯაცთა შორის თუ დიდებას გადაურჩი, ესე იგი, ღირსი გახდი მეტის!

თუ სიკეთე მომეცემა, არ დამტოვო, მინდა, სწორად გაცემის მადლს მაცხებდე, იოანა, ჩემო ტკბილო ქალბატონო, იოანა, უფლის მენუსაცხებლე.

ილია II-ის სახელობის სრულიად საქართველოს გვარების წინამძღოლთა ღარბაზი

არ დაგვაპიწყდეს, ვისი გორისანი პართ!

თალაკვაძეების გვარი



თალაკვაძეების გვარის ისტორიის შესახებ ღარბაზში იწვევება, საფუძვარულ, არ არის მოქმედი. არსებობს ვერსია, რომ ჩვენი საგვარეულო ხალხი მუსხეთ-ჯავახეთიდან გამოქვეყნდნენ და მოგვიანებით ჩამოსახლდნენ გურიაში, ოგურბათის რაიონის სოფ. ასკანის შემოგარენში. შემდეგ ასკანის გარდასახლდნენ სხვა ადგილებში. ჩვენი წინაპრები ქვემო ხურთში ანუ ქვის მთაზე ხალხი ყოფილან, რას ასახულია ჩვენი გვარის დასახელებაში. თალა ქვაზე და არა თალა ქვით, როგორც ხალხი ვიწოდებოდით. ასო ქ რუსებმა, XIX საუკუნეში ჩაანაცვლეს ასო კ-ით, რადგან რუსების ალფაბეტში ასო ქ არ არსებობს. ასევე არსებობს გვარის ისტორიის მეორე, არსებობს ვერსია, რომ თალაკვაძეები, როგორც ვიწოდებოდით, ქვის მთაზე ხალხი ყოფილან.

ისინი ცხოვრობდნენ გურიაში, ერთ-ერთ უძველეს ასკანის ციხის უბანში, ისტორიულად მდებარეობდა, რომ IV საუკუნეში აგებული (გორიანთი ისტორიის მტკიცებით, ის კიდევ უფრო ძველია და აგებულია I საუკუნეში). არის ვერსია, რომ სწორედ IV (ან I) საუკუნიდან მოყოლებული გარსაგორეთი თალაკვაძეები და ჩვენი უპირველესი საცხოვრისი და გვარის ფუძე სწორედ მთისპირა და მისი ციხისუბანი. ისტორიის ძეგლებდების გამო, XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, არავითარი დოკუმენტი არ არის შემორჩენილი არც გურიის და არც ობერ-გეთის მაზრის მმართველობის, ასევე არც გურიის სასოფლო საზოგადოებრივი არქივიდან. 1915 წელს რუსეთში გაიზიდა და იქ განადგურდა ქუთაისის საგუბერნიო არქივის დიდი ნაწილი, რომელშიც დასახლდნენ საქართველოს და მათ შორის გურიის სამეთვლე მიც იყო. დაკარგულია გურიის სამივე საეპისკოპოსო კათედრის (ხინოს, შემოქმედის, ჭუმთაის) საბუთები. პირველად თალაკვაძეების გვარის

სხენებას მივაკვლით დიდი ქართველი ისტორიკოსის და საზოგადო მოღვაწის დიმიტრი ბაქრაძის ნაშრომებში. მან 1874 წელს იმოგზაურა გურია-აჭარაში. მისი ექსპედიციის მსვლელობის დროს მეცნიერმა უამრავი ეკლესია-მონასტერი მოინახულა და აღწერა.

დიმიტრი ბაქრაძის თავის ნაშრომში მოყავს გურიის მთავრის მამია IV გურიელის (1726-1756წ.) მიერ დახრეული ასკანის ციხის მოურავის იოანე ასათიანისთვის და მისი შთამომავლებისთვის ბოძებული წყალობის წიგნი, რომლის მიხედვით ირკვევა, რომ მის მამულში მოსახლე ერთი გლეხი, მისი ქონებითურთ მოურავისთვის მიუ-

თა გვარის მეომრები საქართველოს ერთიანობის უამრავი გამოდინდნენ ერთიანი საქართველოს დასამყრის საღრობში, ხოლო უამრავი განდგომისა გურიის სამთავროს ლაშქარში – კომლზე კაცად, გურიის მთავარ გურიელთა დროშის ქვეშ.

გარდასულ დღეთა დიდება და პატივი არც უახლოეს წარსულში, XIX-XX საუკუნეებში დაკლებია თალაკვაძეთა ნიჭიერ და შრომისმყვარ გვარს, რომლის მრავალმა წარმომადგენელმა ნათელი კვალი დატოვა საქართველოს ისტორიაში. განსაკუთრებით აღნიშვნის ღირსია დეკანოზ ნიკიტა თალაკვაძის ღვაწლი.



ცია. ამ სიგელის მოწვევები არიან 5 კაცი და მათ შორის ერთი გაბრიელ თალაკვაძე ყოფილა. სწორედ ეს არის პირველი თალაკვაძე, რომელიც მოიხსენიება ძველ დოკუმენტებში.

წინამძღვარე ანოტაციიდან დგინდება, რომ ასკანის მოსახლე გაბრიელ თალაკვაძეს, გურიის მთავარ გურიელთა კარზე ხელოსნად უმსახურია. ხელოსანი, გვიან ფეოდალურ საქართველოში წარმოადგენდა სახელოს მქონე, სახელწიფო სამსახურში მყოფ მოხელეს. ხელოსნები იყვნენ მსხვილი სოფლების გამგებლები. XIX საუკუნეში საქართველოში ამ პოსტს შეესაბამებოდა მამასახლისის თანამდებობა. XVIII საუკუნის მეორე ნახევარში გურიის სამთავროში შემდგომ სიგელ-გუჯარში თალაკვაძეები ჩანან ვითარცა მოწმენი და მისანდობი გურიის მთავართა, თავადთა, აზნაურთა და უაზნოთა.

საქართველოს და მაგარტიონთა ტახტის ძლიერებისათვის თალაკვაძე-

დეკანოზმა ნიკიტა თალაკვაძემ (1873-1933წ.) საქართველოს ავტოკეფალიის აღდგენისათვის ბრძოლა XIX საუკუნის მიწურულს დაიწყო საქართველოს პატრიარქ კირიონ II-თან ერთად. იგი 1903-1912წლებში იყო დიუბის ეკლესიის, ხოლო 1912-1917წლებში ანჩისხატის ყოვლადწმინდა ღვთისმშობლის შობის ეკლესიების წინამძღვარი. 1916 წლიდან ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წამდელი წევრი იყო. იგი კამილაკით და სამკერდე ოქროს ჯვრით იყო დაჯილდოვებული. კირიონ II-ის გარდაცვალების შემდეგ მისი თანამოაზრეების დევნა დაიწყო. საკათალიკოსო საბჭოდან გააძევეს კირიონ II-ის ერთგული დეკანოზი ნიკიტა თალაკვაძე. დეკანოზს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია ბრძოლა, იგი სიოცხლის ბოლომდე ამბროსი ხელაიასთან, კალისტრატე ცინცაძესთან, პოლივექტორ და ვასილ კარბელაშვილებთან, კორნელი კეკელიძესთან და სხვებთან ერთად იბრძოდა ავტოკეფალიის აღდგენისათვის და ექვთიმე თაყაიშვილთან ერთად, საეკლესიო სიძველეების გადასარჩენად. რაც შეეხება დღევანდელ მდგომარეობას. 2021 წლის მონაცემებით, თალაკვაძეთა დიდ-პატარას, ქედოსან-მანდილოსნის საერთო რაოდენობა 609 სულს შეადგენდა. აქედან გურიაში – 161, თბილისში – 321, აჭარაში – 56 და სხვაგან უფრო მცირე რაოდენობით.

თალაკვაძეების გვარმა, ისე როგორც ბევრმა სხვა გვარმა, 2011 წელს ახალი მნიშვნელოვანი ფურცელი გააღმათა თავისი არსებობის ისტორიაში. სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და



უწეტარესი ილია II-ის ინიციატივით უკანასკნელი წლების განმავლობაში შეიქმნა საგვარეულო კავშირები, რომელთა უპირველესი ამოცანა გენეოლოგიური კვლევა და გვარის ისტორიის შესწავლაა.

თალაკვაძეების გვარის ახალი ისტორიის დასაწყისად შეიძლება ჩაითვალოს 2011 წლის ხარების ბრწყინვალე დღესასწაული – 7 აპრილი. სწორედ ამ დღეს მოხდა თალაკვაძეების შეკრება სამების საკათედრო ტაძარში და საგვარეულო კავშირის ჩამოყალიბება. არჩეული იქნა გამგეობა 11 კაცის შემადგენლობით, თავმჯდომარე ანუ წინამძღოლი და მოადგილე.

აღნიშნული შეკრების და საგვარეულო კავშირის ჩამოყალიბების ორგანიზატორი მე ვახლდით, –სამეცნიერო სწავრთ ფირმა [ქომახის]ლირეექტორი, ინჟინერიის დოქტორი, საინჟინრო და ფაზისის აკადემიკოსის წევრი. ამ საქმეში აქტიურად მუშაობდა: ვახტანგ გიორგის ძე თალაკვაძე – ცნობილი იურისტი, საადვოკატო ფირმა [თალაკვაძე და კომპანია]სრებიდენტი და ზურაბ ნესტორის ძე თალაკვაძე, ცნობილი ფარმაცევტი-თბილისის სააფთიაქო ქსელის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. სწორედ ამ ადამიანების უშუალო მონაწილეობით და საპატრიარქოსთან არსებული საზოგადოება [გვარი და გვარი]ვილობის [თანადგომით ასრულდა მრავალი თაობის თალაკვაძეთა ოცნება – შექმნილიყო გვარის გამაერთიანებელი კავშირი.

თალაკვაძეთა საგვარეულო კავშირის პირველმა კრებამ, თავმჯდომარედ აირჩია ვახტანგ თალაკვაძე. 2021 წლიდან კი საგვარეულო კავშირის უკვე მე ვხელმძღვანელობ. გვარის ისტორიაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი დღე 2011წ. 6 ნოემბერია. სწორედ ამ დღეს საქართველოს კათალიკოს პატრიარქმა, უწმინდესმა და უწეტარესმა ილია II-მ, სამების საკათედრო ტაძარში საზეიმოდ დალოცა ჩვენი გვარი. ეს მოვლენა უდიდესი მადლი იყო გვარისთვის, რაც იმეოდა, მისი წარმებების, გამაერთიანების და გამაერთიანების საწინდარი იქნება.

საგვარეულო კავშირმა, თავისი საქმიანობის პირველივე დღეებში, იუსტიციის სახლში არაკომერციულ იურიდიულ პირად დაარეგისტრირა [თალაკვაძეთა საგვარეულო კავშირი] და გაიხსნა მანკში ანგარიში. პირველ ეტაპზე კავშირის წინაშე მდგომი ამოცანები შეძლებისდაგვარად შესრულდა. ჩატარდა გვარის გენეოლოგიური კვლევა, დაიბეჭდა წიგნი გვარის ისტორიის შესახებ. ასევე დაინერა გვარის მფარველი წმინდანის – თამარ მეფის ხატი, შეიქმნა გვარის გერბი და დროშა.

სამომავლოდ, მერ სხვა საკითხთან ერთად, ერთი მნიშვნელოვანი საკითხი გაქვს მოსაგვარებელი. კერძოდ, ჩვენს სოფელ მთისპირაში არსებული ასკანის ციხის (ხალხში მას თამარის ციხეს ეძახიან), მოვლა-პატრონობის, მისი კონსერვაცია-რეკონსტრუქციის საკითხი. ისმის კითხვა, რატომ ჩვენ? ერთი მხრივ, როგორც ყველა პატრიოტს, ალბათ, ჩვენც გვინდა, რომ ეს ერთ-ერთი ყველაზე უძველესი ქართული ძეგლი გადარჩეს და დარჩეს ჩვენ მომა-

ვალ თაობებს, მეორე მხრივ, იმეტომ რომ, საქმე გვაქვს არაორდინალურ საკითხთან. ალბათ, იშვიათია შემთხვევა, როდესაც კულტურული ძეგლის მიმდებარედ, ციხის უბანში, თავიდან ცხოვრებულა მხოლოდ ერთი გვარის ხალხი, თალაკვაძეები.

რას ნიშნავს ეს? თალაკვაძეების გვარი, რომლებიც სპეციალობით ქვის მთლებები არიან, ცხოვრობს ციხის უბანში. თუ არა ეს გვარი, ქვის მთლებთა გვარი, მამ, ვინ იქნებოდა ამ ციხის ამშენებელი და შემდგომ მისი მომვლელი? ამ თითქოს რიტორიკულ კითხვაზე ერთი უბრალო პასუხია, რომლის დამტკიცება (სათანადო არქეოლოგიური და მეცნიერული ძიების გარეშე) ძნელია, მაგრამ შინაგანად ნამდვილად სარწმუნოა, რომ სწორედ თალაკვაძეები ვართ ამ უნიკალური კულტურული ძეგლის ერთ-ერთი ამშენებლები და სწორედ ჩვენ უნდა ვიყოთ მისი მომვლელელებიც და მოჭირნახულებელებიც!


შემოთავაზებული მოსაზრების მეცნიერულად განმტკიცების მიზნით, უკვე ბევრი წელია, არ დამიტოვებია ჩვენი ქვეყნის არც ერთი კულტურის მინისტრი თუ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არც ერთი ხელმძღვანელი, რომ არ მეთხოვოს ასკანის ციხის საკონსერვაციო და არქეოლოგიური სამუშაოების ჩატარება, მაგრამ ყოველთვის ვღებუ-მაზე გამოცხადდა დაახლოებით მთლიონ ლარიანი ტენდერი ასკანის ციხეზე სათანადო სამუშაოების ჩატარების შესახებ, მაგრამ გამარჯვებული ვერ გამოვლინდა. სააგენტოს გადაწყვეტილებით, ამ დღეებში კვლავ გამოცხადდება ტენდერი და იმედია, ამჯერად გვეყოლება გამარჯვებული, რომელიც ჩატარებს სათანადო სამუშაოებს ასკანის ციხეზე და ალბათ, ბევრ კითხვას გაეცემა პასუხი.

ჭაბოსლეულებიდან მოედინება დალოცვლი ჩვენი ჯიშისა და ჯილაგის სისხლისსმიერი ხმაინება, მოედინება და დროის სივრცეში მარადისობასთან გაჭიმებულ სიბერე არ ეპარება.

არაჰინ იმის, როდის ეწოდა ჩვენს წინაპრს გვარი თალაკვაძე, საზნაურთა ისინი, რომ გვინი რამ არ ვიხით ჩვენი გვარის ეფიომლოობის შესახებ.

ყოველდღიური ფუსფუსით გატულვებს, დაგვიწყვიდა ერთმანეთი და გამოითოქავებულ-ვართ. არ დაგვიწყვიდეთ, [ისინი გორისანი]ვართ! არ დაგვიწყვიდეს, თორემ მოგვალნი არ გვაპატივებს. გამრავლდით და გაიხარეთ თალაკვაძეებო!

ამირან თალაკვაძე, თალაკვაძეთა საგვარეულო კავშირის თავმჯდომარე.



რა იქნება ხვალ?

ბრიტანული გაზეთის დღილი ტელეგრაფის (The Daily Telegraph) პირველი ივლისის ნომერში გამოქვეყნებულია სტატია სათაურით **ირანელი სასულიერო პირები დონალდ ტრამპის და ბენიამინ ნეთანიაჰის მკვლელობისათვის მოწოდებები**. მათი ლიკვირება ირანელთა რელიგიური მოვალეობაა (ავტორი – ახსნა მაკო). იმ დროს, როცა ირანის მთავრობა აშშ-თან დადგულ შემოღებულ მხარს უჭერს, ირანის რელიგიური მსახურთა საზოგადოება მის წინააღმდეგ გამოდიან – ნათქვამია პუბლიკაციაში.

ბთავაზოვთ სტატიას მხირა შემოკლებით:
The Daily Telegraph



გაუიროღას, დონალდ! ძრნოღა, ბენიამინ!

ირანელი მაღალი რანგის რელიგიური მსახურების მოწოდებით, დონალდ ტრამპისა და ბენიამინ ნეთანიაჰის მკვლელობა აუცილებელია ირანის ინტერესებისათვის.

10-პუნქტიან განცხადებაში ექსპერტთა ასამბლეამ – ქვეყნის უმაღლესმა სახელმწიფო საკონსტიტუციო საბჭომ – განაცხადა, რომ **ირანელი დამამტკიცებელი პირები უნდა მოახდინონ ტრამპისა და ბენიამინ ნეთანიაჰის მკვლელობა** ირანის რელიგიური მოვალეობის შესაბამისად. **ირანის რელიგიური მსახურების საბჭომ** განაცხადა, რომ **ირანელი დამამტკიცებელი პირები უნდა მოახდინონ ტრამპისა და ბენიამინ ნეთანიაჰის მკვლელობა** ირანის რელიგიური მოვალეობის შესაბამისად.

თავიანთ მოწოდებაში ირანელ-რელიგიური მსახურებმა აღნიშნეს, რომ დონალდ ტრამპისა და ბენიამინ ნეთანიაჰის მკვლელობა ირანის რელიგიური მოვალეობის შესაბამისად. **ირანის რელიგიური მსახურების საბჭომ** განაცხადა, რომ **ირანელი დამამტკიცებელი პირები უნდა მოახდინონ ტრამპისა და ბენიამინ ნეთანიაჰის მკვლელობა** ირანის რელიგიური მოვალეობის შესაბამისად.

ექსპერტთა ასამბლეის რადიკალური განცხადება აჩვენებს იმას, თუ რამდენად ღრმად განხეთქილება არსებობს ირანის ისტებლიმიზმში. როგორც ცნობილი ვახდა, მონოღებამ ხელი საბჭოს წევრთა უმრავლესობამ მოახერხა, მაგრამ მისი გამოქვეყნების შემდეგ ასამბლეის სამდიონომ განცხადებისგან დისტანცირება მოახდინა. ანუ ხელის მომწერია 63 წევრი მმ-დან.

სასულიერო პირები ხელისუფლებისგან ითხოვენ იმასაც, რომ მთავრობამ მოლაპარაკება აშშ-სთან ფრთხილად აწარმოოს, რადგან ვაშინგტონი დროის გაჭიანურებას ცდილობს და ამით ომში დახარჯული შეიარაღების აღდგენას გეგმავს.

ირანის რელიგიური მსახურების საბჭომ განაცხადა, რომ ირანელი დამამტკიცებელი პირები უნდა მოახდინონ ტრამპისა და ბენიამინ ნეთანიაჰის მკვლელობა ირანის რელიგიური მოვალეობის შესაბამისად.

ხელმომწერებმა ასევე დაგმეს მთავრობის გადანაცვლებამ პორტუგალიის სრუტის გახსნის თაობაზე და ისტრატეგიულ შეცდომად მიიჩნიეს. მათ ასევე მოითხოვეს მოლაპარაკების დღის წესრიგიდან ირანის ბირთვული პროგრამის ამოღება: **ბირთვული კვლევების წარმოება ირანის სუვერენულ უფლებას წარმოადგენს**.

ეს არ არის პირველი შემთხვევა, როცა ირანი აშშ-ის პრეზიდენტს სიკვდილით ემუქრება. 2024 წელს, რამდენიმე კვირით ადრე, სანამ ტერორისტი პენსილვანიაში წინასაარჩევნო მიტინგზე მყოფ დონალდ ტრამპს ესროდა, ამერიკულმა სპეცსამსახურებმა განაცხადეს, რომ გახსნეს შეთქმულება პრეზიდენტობის კანდიდატის მკვლელობის მიზნით, რაც ირანის შურისძიებას წარმოადგენდა ყასემ სულეიმანის მკვლელობის გამო.

როგორც ცნობილია, გენერალი ყასემ სულეიმანი, ირანის ისლამური რევოლუციის გუშაგთა კორპუსის კუდის ქვედანაყოფის სარდალი, პრეზიდენტ დონალდ ტრამპის ბრძანებით, 2020 წლის 3 იანვარს, ბაღდადში მოკლეს მიზანმიმართული ავიადარტყმის შედეგად. თუმცა, აშშ-ის ოფიციალური პირების განცხადებით, შეთქმულებასა და სროლას შორის რაიმე კავშირი არ არსებობდა.

რელიგიის მსახურთა განცხადება გამოქვეყნდა იმ მომენტში, როცა პრეზიდენტი მასუდ ფეშქაიანი ყუში გამგზავრა, სასულიერო სემინარიაში სიტყვით გამოსასვლელად, შემორანდუმის პირობების დაცვის მიზნით. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ყველაფერი მოთაბა შამენისთან არის შეთანხმებული, ყველაფერი კოორდინირებულია მიმდინარეობს და ამ დროს სასულიერო პირები თავიანთი კრიტიკული მოწოდებით საზოგადოების მიმართ **ტყუილოდ მტყუარს ახდენენ და ამით ხელს უწყობენ გარეუ მტრების ანტიირანულ საქმიანობას**.

ამასობაში კი სამშვიდობო პროცესი, როგორც ჩანს, ჩიხში შედის. სტეფ უიკოფი, აშშ-ის პრეზიდენტის სპეციალური წარმომადგენელი და ჯარედ კუშნერი, პრეზიდენტის სიდე, დოჰამი ჩავიდენი, კატარელ შეამავლებთან შესახვედრად, ირან-აშშ-ის მოლაპარაკების დეტალების განსახილველად.

განდა იმედი იმისა, რომ იქნება აშშ-სა და ირანის შრეზიდენტობა ერთმანეთს შეხვდნენ, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. **ირანის შრეზიდენტობა მოსალოდნელი არ არის** – განაცხადა სამშვიდობო კავშირის საბარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა. თავის მხრივ, ირანის საბარეო საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა ისაილ ბაღდადი ხაზი გაუსვა, რომ **ირანელი დამამტკიცებელი პირები უნდა მოახდინონ ტრამპისა და ბენიამინ ნეთანიაჰის მკვლელობა** ირანის რელიგიური მოვალეობის შესაბამისად.



მოაგვალა სიმონ კილაქია

საგარეო ვეჭვოერი თეირანის ჩრდილში

მიხეილ ყაველაშვილი აიათოლა ალი ჰამენის დაკრძალვაზე გაეგზავრა

ირანის სახელმწიფო სინფორმაციო სააგენტო WANA-ს მიერ გავრცელებულმა ინფორმაციამ, რომლის მიხედვითაც თეირანში, ირანის სალიონო ლიდრის აიათოლა ალი ჰამენის დაკრძალვაზე საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ ყაველაშვილს ელოდებიან, ქართულ პოლიტიკურ სპექტრში ბოროტი გზავა დაპირისპირება გამოიწვია. 9 ივლისს დაგეგმილ ცერემონიაზე საქართველოს წარმომადგენლობა თურქმენეთის, პაკისტანის, სომხეთისა და აზერბაიჯანის ოფიციალური დელეგაციებთან ერთად მიმდევდა. პრეზიდენტის აღმინისტრაციამ ვიზიტი ოფიციალურად დაადასტურა, თუმცა ეს საკითხი მანამდე იქცა ქვეყნის საგარეო კურსისა და გეოპოლიტიკური იდენტობის შესახებ დებატების საგნად.

ზინ იყო აიათოლა ალი ჰამენი?

აიათოლა ალი ჰამენი ირანის ისლამური რესპუბლიკის უმაღლესი სულიერი ლიდერი იყო 1989 წლიდან. მისი მართვლობის პერიოდი ხასიათდებოდა მკაცრი ანტიდასავლური რიტორიკით, რამდენიმე გავლენის გაფართოებითა და აშშ-თან მუდმივი კონფრონტაციით. ირანის სულიერი ლიდრის სიცოცხლე აშშ-ის მიერ განხორციელებული სამხედრო ოპერაციის ფარგლებში, მისი ლიკვირებით დასრულდა. შამენის სიკვდილმა ახლო აღმოსავლეთში არსებული დაძაბულობა პიკამდე მიიყვანა და მის დაკრძალვაზე უცხოური დელეგაციების დასწრების საკითხიც საერთაშორისო ყურადღების ცენტრში მოაქცია.

დიპლომატიური პრობოკოლი

თბილისის მერმა კახა კალაძემ შუნალიშვიტთან საუბრისას აღნიშნა, რომ ყაველაშვილის ირანში ვიზიტში უარყოფითი ან ნეგატიური არაფერია. მისი თქმით, პრეზიდენტი დაკრძალვაზე მიემგზავრება ისევე, როგორც სხვა მემორელი და რეგიონის ქვეყნების ლიდერები (თურქეთი, აზერბაიჯანი, სომხეთი).

ანალიტიკოსი რამაზ საყვარელიძე For.ge-სთან საუბრისას, რომ ჩვენს პარტნიორობას, აგრეთვე საზღვარეუ და განაწყნება არ მოხდეს, სკოზს დელეგაციის ირანში გაგზავნაზე გათთან კომპრომისი შედგეს და ანტიინფორმაციით დაგმუხება იმავი, რომ ეს ვიზიტი ჩვენს ქვეყნის თუნდაც უსაფრთხოების მნიშვნელოვანია.

შთავრებები იზოლირებულ კამერებში ხომ არ სხედან, ამერიკელებთან კომუნიკაცია გვაქვს და შეგვიძლია, რომ ჩვეულებრივად მოხდეს დაკავშირება და იმ მიზეზების განმარტება, რის გამოც შესაძლოა ქართულმა მხარემ სამხიარზე დელეგაცია გაუშვას. ხელისუფლებამ მერე მხარისთვის გასაგები გახადოს, რომ ირანთან კონფლიქტში ჩაბმა არ სურს. სამხიარზე არ წასვლა უკვე კონფლიქტური ნაბიჯი იქნება, კარგი უნდა არ გამოვა. ცნობილია, რომ ირანს ანალოგიური ქმედებებში ძალიან მგრძობიარე რეაქცია აქვს და გულში ჩადებაც იცინან. ვგონებ, ზოგადად არ ღირს ამისგან თავის არიდება. თუმცა იმისთვის, რომ არ მოჰყვეს ამ ყველაფერს გაუგებრობები, სკოზს ამერიკასთან პირდაპირ დალაპარაკება და ახსნა მოხდეს, თუ რა მოტივით მიდის საქართველო ამ ნაბიჯამდე – ამბოზს საყვარელიძე.

მისივე თქმით, ეს იმავე ტიპის მოტივია, რატომაც საქართველო რუსეთთან დაპირისპირებაში არ ჩაერთა.

ლიკა პერიკაშვილი



ახალგაზრდული პროექტის – „რუსთავი-ცხოვრების სტილი“ პირველი სეზონი დაიწყო

რუსთავის ცენტრალური პარკში მოწყობილ სივრცეში, ახალი ახალგაზრდული პროექტის გამარჯვებულების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

რუსთავის მერიამ ახალგაზრდული პოლიტიკის ფარგლებში, ქაბდი შენი ქალაქის კონტენტ კრეატივი – ამ იდეით განხორციელებულ პროექტში, 30-მა რუსთაველმა ახალგაზრდამ მიიღო მონაწილეობა. პროგრამაში ჩართულმა ციფრული მულტიმედიისა და პერსონალური ბრენდის შექმნის ორთვიანი სასწავლო კურსი, სრულიად უფასოდ გაიარეს. მათ ქალაქის ყოველდღიურების, მისი ცხოვრების სტილის ამსახველი კონტენტები შექმნეს. საუკეთესო ნამუშევრები კი ახალ ონლაინ პლატფორმაზე – რუსთავი ლაიფსტილი (Rustavi Life) გამოქვეყნდა – განაცხადა რუსთავის მერიის ახალგაზრდობის განათლებისა და კარიერული განვითარების ცენტრის ხელმძღვანელმა ანელი ჩხარტიშვილმა.

დაჯილდოების ღონისძიებაზე, სოციალურ ქსელში მიღებული რეაქციებითა და ნახევრით გამოვლენილ გამარჯვებულებს სპეციალური პრიზები გადაეცა, საუკეთესო ვიდეოს ავტორმა კი საჩუქრად მობილური ტელეფონი მიიღო. სამასობრო საჩუქრები გადაეცა პროგრამის პირველი სეზონის ყველა მონაწილეს. პროექტი – რუსთავი ცხოვრების სტილი – ახალგაზრდობის განათლების და დასაქმების ხელშეწყობას, ქალაქის პოპულარიზაციას და რუსთავის განვითარებაში ახალგაზრდული იდეების რეალიზებას ისახავს მიზნად.


დღესასწაული „ახალციხელოვა“



გამსახურად და განსხვავებულად აღინიშნა წელს გალავა ახალციხის სიძვერის დღე და ქალაქის დღესასწაული – მხალციხელოვა.

გაიმართა ძველი ქართული ასპარეზობები და ორთაბრძოლები. რაბათის ციხეზე ქორეოგრაფიულმა და საგუნდო ანსამბლებმა მრავალფეროვანი ნომრები წარმოადგინეს. დღესასწაულზე საპატიო ახალციხელებიც დააჯილდოვეს. აგრეთვე ჩაეყარა საფუძველი ქრისტიანული მუსიკის ფესტივალს, რომელიც საერთაშორისო იქნება.

„ქართულ-ბერძნული ხელნაწერი“



პორნელი ვეპელიძის სახელობის საქართველოს ხელნაწერთა ეროვნული ცენტრში საქართველოში ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიური მემკვიდრეობის 1700 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა და ნიგნის – ქართულ-ბერძნული ხელნაწერი წარდგინა გაიმართა. ღონისძიებას კულტურის მინისტრის პირველი მოადგილე



ლე მაკა გერგენიძე, მინისტრის მოადგილე გრიგოლ ცერცვაძე და კულტურის სამინისტროს სხვა წარმომადგენლები დაესწრნენ. მონაწილე სტუმრებს შორის იყვნენ საქართველოს საპარტიო რეკონსტრუქციის, სამეცნიერო წრეებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

ექსპოზიციამ წარმოადგინა ხელნაწერი ნიგნები, ისტორიული დოკუმენტები და საარქივო მასალა (V-XX სს.) საქართველოს მრავალსაუკუნოვან ქრისტიანულ, კულტურულ და სამხეობრო ტრადიციას ასახავს, ხოლო ნიგნი – ქართულ-ბერძნული ხელნაწერი XV საუკუნის უნიკალური ხელნაწერის ინტერდისციპლინარ კვლევას მოიცავს.

4-5 ივლისს ანაკლიაში საზღვაო სეზონი იხსნება

4-5 ივლისს ანაკლიაში საზღვაო სეზონის გახსნასთან დაკავშირებით კულტურული ღონისძიებები გაიმართება, – ინფორმაციას სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაციამ ავრცელა.

მათივე ცნობით, ორდღიანი პროგრამის ფარგლებში მრავალფეროვანი კულტურული, სპორტული და გასართობი ღონისძიებები გაიმართება, როგორც ადგილობრივი მოსახლე



ობის, ისე საქართველოს სხვადასხვა რეგიონიდან და უცხოეთიდან ჩამოსული ვიზიტორებისთვის.

საზღვაო სეზონის გახსნის ღონისძიების ორგანიზატორები არიან სამეგრელო-ზემო სვანეთის სახელმწიფო რწმუნებულის ადმინისტრაცია, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერია, საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია და DMO სამეგრელო.

4 ივლისი: 15:00 □ საფესტივალო სივრცის გახსნა; 15:00 □ სპორტული ღონისძიებები; 15:30 □ დღის კონცერტი; 20:00 □ ჯგუფი ლუსა □ ორკესტრთან ერთად; 21:30 □ DJ Giga პასტორი; 5 ივლისი: 15:00 □ საფესტივალო სივრცე; 15:00 □ დღის კონცერტი; 19:30 □ ლინდა ადამია და ჯგუფი J; 21:00 □ დუეტი ჯორჯია □ 22:30 □ ელექტრონული მუსიკა.

სეზონის განმავლობაში, მინიმუმ ორი თვე, ანაკლიაში სხვადასხვა კულტურული და სპორტული ღონისძიებები დაგეგმილია, – აღნიშნულია ინფორმაციაში.

სისოხის გადასახედი – „სივ-გომბორის დასული ტერიტორიები“



პახეთის მხარეში ახალი დასული ტერიტორია სივ-გომბორის დასული ტერიტორიების რეკონსტრუქციის პროექტის ფარგლებში, დასული ტერიტორია საგარეაოს, გურჯაანისა და თელავის მუნიციპალიტეტების ტერიტორიებზე პაპში 39 877 ჰექტარ ფართობზე განისაზღვრა.

დასული ტერიტორიების სააგენტოს ინფორმაციით, ახალი დასული ტერიტორია მოიცავს სამ კატეგორიას: ცივ-გომბორის ეროვნული პარკი □ 21 761 ჰა, სილნალის ადგილობრივი □ 554 ჰა და ცივ-გომბორის დასული ლანდშაფტი □ 17 562 ჰა. ცივ-გომბორის დასული ლანდშაფტის მართვას გურჯაანის მუნიციპალიტეტი განახორციელებს.

ცივ-გომბორის დასული ტერიტორიების შექმნა მნიშვნელოვნად გააძლიერებს კახეთის მხარეში დასული ტერიტორიების ქსელს და ხელს შეუწყობს უნიკალური მუნიციპალიტეტის ეკოსისტემების, ბიომრავალფეროვნებისა და ლანდშაფტების დაცვას.

ახალი დასული ტერიტორიის დაარსება ასევე მნიშვნელოვანია რეგიონში ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნებისა და მდგრადი ეკოტურიზმის განვითარების ხელშეწყობისთვის. აღნიშნული გადაწყვეტილება ხელს შეუწყობს კახეთის, როგორც ეკოტურიზმის მიმართულებით, საერთაშორისო პოპულარიზაციას და ადგილობრივ მოსახლეობას დამატებით შესაძლებლობებს შეუქმნის დასაქმებისა და ეკონომიკური საქმიანობის განვითარების მიმართულებით.

ბრალდებულები საკუთარ შვილებს მოწყალების თხოვნას და ვაჭრობას აიძულებდნენ!

შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, გენერალურ პროკურატურასთან ერთად, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული საპოლიციო ღონისძიებების შედეგად, ანასრულწლოვნების ტრაფიკინგის ბრალდებით, 3 პირი დააკავეს. დაკავებულებს შორის არიან როგორც საქართველოს, ასევე, უცხო ქვეყნის მოქალაქეები, – ინფორმაციას შსს ავრცელებს.



სამართალდამცველების მიერ აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებებით დგინდება, რომ ბრალდებულებმა მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, ტრაფიკინგის გეგმა შეიმუშავეს, რომელშიც საკუთარი არასრულწლოვანი შვილები ჩართეს. გამოძიებით დგინდება, რომ ბრალდებულები არასრულწლოვან შვილებს ფსიქოლოგიური ძალადობის გამოყენებით, მათში, ტურისტულ ადგილებსა და სხვა ტერიტორიაზე, მონაწილეობის თხოვნასა და ყვავილებით ვაჭრობას აიძულებდნენ. ასევე დგინდება, რომ შეროვილ თანხას ბრალდებულები ისაკუთრებდნენ. სამართალდამცველებმა, გამოძიების ფარგლებში, მოსამართლის განჩინების საფუძველზე ჩატარებული ფარული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, აღნიშნული ფაქტების დამადასტურებელი არა ერთი მტკიცებულება მოიპოვეს. გამოძიება 17 წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

ქასში მე-12 კლასელი შაკო კავთიაშვილი ტრაგიკულად დაიღუპა



ქასში მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევას ახალგაზრდა კალათგურთაშვილი, მე-12 კლასის მოსწავლე შაკო კავთიაშვილი ემსხვერპლა. გარდაცვლილი იწოდებოდა, მანძან გოქს შუაგასა. დაზარალებული კიდევ ერთი პირი.

ღრმა მწუხარებას გამოვთქვამთ ჩვენი გუნდის ახალგაზრდა კალათგურთაშვილის შაკო კავთიაშვილის ტრაგიკული გარდაცვალების გამო. ვუსამძიმრებთ მის ოჯახს, ახლობლებსა და მეგობრებს.

ნათელში იყოს შენი სული, შაკო – წერს საკალათგურთო კლუბი ქასის გრიფინი. წა დიდი ტრაგედია... სიტყვები უძლეურია. ვასკდა გული. ნათელში ამყოფოს უფალმა შაკოს ლამაზი სული. გამძლეობა მის მშობლებს და ახლობლებს. წა მწარე ტკივილი დატოვა, გამძლეობა მის მშობლებს. წა რა ხდება ჩვენს თავს, ხალხო, ვაი შენს მშობლებს, შვილო. წა. წაიმი, რა სიმწარე ხარ შაკო, ყველაფრით უნაკლო შვილი იყავი, ნათელი შენს ლამაზ სულს – წერენ სოციალურ ქსელში.

თბილისში აზერბაიჯანელი გოგო მოკლეს



თბილისში აზერბაიჯანელი ახალგაზრდა გოგო მოკლეს. როგორც ცნობილია, მისი გარდაცვალება მოხდა 2018-2019 წლებში დაკავშირებით გამოძიება სსპ-ის 108-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც განზრახ მკვლელობას გულისხმობს. მომხდართან დაკავშირებით მიმდინარეობს საგამოძიებო მოქმედებები.

ჩინელ მკვლელებს გოგონის თაღლითობისა და ფულის გათავისებობისთვის 30 წლით პატიმრობა შეეფარდა

აზრ-ში სასამართლო უძრავი ქონების ჩინელ მკვლელებს, მილიარდერ გოგონის 30 წლით პატიმრობა შეეფარდა ერთი მილიარდი დოლარის ოდენობით თაღლითობის გამო. გოგონის დამნაშავედ რამდენიმე დანაშაულები ცნეს, მათ შორის თაღლითობა და ფულის გათავისებობა. ამასთან, მოსამართლის განცხადებით, მისმა საქმემ ზიანი მიიყენა ასობით ინვესტორს მთელ მსოფლიოში, 2018-2023 წლებში. მოსამართლემ მას 889 მილიონი დოლარის კომპენსაციის გადახდა დააკისრა.

ქართული ანგარიშები

ქარბად უკასია, რაის უკასია...



ფარეკალი

14-წლამდელთა ევროპული ფეხბურთის (დასაბრუნებელი) ტურნირი (მწვრთნელი ანტონინო კუვინია). აღსანიშნავია, რომ მან წლებულს ყველას ჯერ თანატოლთა ევროპულ ჩემპიონატში ატომა, ხოლო შემდეგ თურქეთში 17-წლამდელთა სამსუნისა და ანტალიის საერთაშორისო ტურნირებში მოიგო. ბრინჯაო – **ლაზარე ჩიტაძე** (რაპირა). მწვრთნელი – **ზურაბ აფციაური**.

კალათბურთი

წიგა. სპარინგი. ლატვია – საქართველო 77:87 (17:29, 22:18, 17:18, 21:22). ეს გახლდათ ჯვაროსანთა ძალების უკანასკნელი მოსინჯვა მუნდიალის დასკვნითი საკვალიფიკაციო მატჩების წინ (დღეს იქვე უკ-



რანასთან და 5 ივლისს თბილისში ესპანეთთან). მას-პინძლეს აკლდათ პორტუგალია, მემბი პერტანსეტი, გრან-ულისი და კურუესი, ხოლო ჩვენ – მენგელია (მწვრთნელი ლემა დასვენებს) და მამუკელაშვილი, რომელიც ოკუანის გაღმა სატრანსფერო საკითხებს აგვარებს და შესაძლებელია, ნაკრებს ლატვიაშივე შეუერთდეს.

საქართველო: რიდი (23 ქულა, 6 მოხსნა, 8 ასისტა), ბითაძე (17 ქ. 8 მ. 4 ა.), სანაძე (12 ქ. 4 ა.), მურჯანიანი, ანდრონიკაშვილი (11-11 ქ.), ოჩხიკიძე (7 ქ.), მერკვილაძე (6 ქ.). ითამაშეს აგრეთვე ჯინჯარაძემ, კობახიძემ, ტურძილაძემ და ფევაძემ, ხოლო ისინი ბოლომდე რეზერვში დარჩა.

დავძენთ, რომ მანამდე რამდენიმე დღით ადრე პირველი დახურული ტესტი იქვე მურჯანიანის გარეშე ანგოლასთან 62:77 დავთმეთ, რის შედეგადაც აფრიკელებთან მოგება-წაგებათა ბალანსი 2:2 გაგვიცა. 15-15 ქულა სანაძემ და ტურძილაძემ მოიპოვეს.

ჩოგბურთი

ლონდონი (ინგლისი). უიმბლდონის ტურნირის ძირითადი მადის პირველი წრე. 28 წლის **მარიამ მლოქვაძე** (სლოვაკიის 54-ე ჩოგანი) – 33 წლის ავსტრიელი აილა ტომლიანოვიჩი (რეიტინგის 94-ე ნომერი) 2 სა-



ათსა და 2 წუთში 2:1 (6:2, 2:6, 6:4). ჩვენებურის მომდევნო მეტოქე ამერიკელი უმლი კრიუგერი იქნება (რეიტინგის 102-ე ნომერი).

შეგახსენებთ, რომ მლოქვაძემ აქამდე ერთხელ უკვე ითამაშა დიდი სლემის ტურნირის მეორე წრეში. ეს 2019 წელს აშშ-ში მოხდა.

კრებები

7-ძალას ევროპის ალაფას გათამაშება. ბრინჯაო – საქართველოს ნაკრები. ჩვენმა გუნდმა სძლია ავსტრიას, ხორვატეთს, უნგრეთსა და მოლდოვას, მაგრამ დამარცხდა უკრაინასთან და იტალიასთან, რამაც ორი ეტაპის ჯამში ელიტაში დაბრუნების საშუალება არ მოგვცა.

საფრანგეთის ჩემპიონატის ფინალი. ტულუზა – მონპელიე 28:20. ასე რომ, ტრავმირებული **ლუკა ჯაფარიძემ** და **ნიკა აბულაძემ** სეზონში ვერცხლი მოიპოვეს.



მისი ასაკის კალმონი მემუარებს უნდა წერდეს, მაგრამ შვილიშვილებით დახუნძლული მათი გრაფიკით ცხოვრობს და საკუთარ მყიდვარ საშუალო კაპიტალში ჩასაყვად სადა სვალთა...

არადა, **ჯემალ ჯიბუაშვილი** რომ გასასხენებელი აქვს, მარე მვერი ვერ დაიკვებნის. დამოუკიდებლობა აღდგენილი სამშობლოს ფეხბურთის ფედერაციის პრესსამსახურის პირველ ხელმძღვანელს საამაყოდ ისიც ეყოფა, სფფ-ს საეტაპო ყრილობაზე შექმნილ ფეთქებადსაშიმ ვითარებაში პრეზიდენტის პოსტზე დიდი **ნოდარ ახალკაცის** კანდიდატურის წამოყენება რომ გახდეს.

ეს ახლავს ადგილი მისი თქმა, რომ მაშინდელმა არჩევანმა მნიშვნელოვანწილად განსაზღვრა ქართული ფეხბურთის თანამედროვე სანაკრებო წარმატებები, თორემ იმდროინდელი სარისკო ნაბიჯის გადადგმა, დაგვეთანხმებით, გაუთვალისწინებელ რისკს უკავშირდებოდა.

როცა პრაქტიკოსი უფროსის-ტის ამპლუას მივადგებით, პატივს მივავებთ სარედაქციო დაავლებების ღირსეულ შემსრულებელს, ვისთვისაც არ არსებობდა რაიმე სახის დაბრკოლება – მეორე დღეს სპორტული პრესის ერთგული მკითხველი ხომ აუცილებლად უნდა გაცნობოდა, სანდო და საყვარელი ავტორის ძარღვიანი ქართულით აკინძულ ოპერატულ თუ ანალიტიკურ სტატიებს...

განსაკუთრებული თემა ფილიპინოვიჩი, როდესაც საახლობლოს ბურჯი, რომელიც მუდამ მზადაა ნათესავსა თუ მეგობარს უკანასკნელი ლუკმა უწილადოს, მისეული თამაღობა და თანამეინახეთათვის „შუბლის დაჭერა“ კი უკვე კარგა ხანია გაცდა უძვირფასესი კოლეგების ვინრო წრის შიდა სამზარეულოს ჩარჩოებს და პოპულარობას დღემდე ინარჩუნებს.

სხვათა შორის, ისევე, როგორც ბოლნისის სიონის დაუვიწყარ საჩემპიონო ზეიმზე სადღესასწაულოდ მორთულ რაიონულ ცენტრში სატვირთო ავტომანქანის ძარბაზე „ამხედრებულ“ გუნდის მედნიერ ნევრთა გამოცხადება.

როგორც სანდო წყაროდან შევიტყვეთ, ეს იდეაც ბატონ ჯემალს უკუთვნოდა.

და ვინ მოთვლის, კიდევ რამდენი მსგავსი ოინის სცენარი. მრავალფაზიერ, 75 წლის ძმო-ბილო!

მაია ნეზარიძე, გივი ტუხაშვილი, გია პლატონიშვილი.

მსოფლიოს ჩემპიონატის 606 „ა6-ბა-ვე ფუტბოლზე“ ფრიალ პატივსაცემი საფეხურით საზოგადოება შეიძლება და, ჩემდა გასაკვირად, ამერიკული ფორუმის შესაძლო პროგნოზირებისას ფართო გასაქანი ვპოვა შეთქმულების თეორიის შესაბამისად გამოთქმულმა ვარაუდმა – პლეი-ოფებიდან მოყოლებული, ევროპული გრანდები, ზოგი ვითორა შემთხვევით, ზოგიც მსაჯებისა თუ სხვა ფაქტორების „დახმარებით“, თანდათან ჩამოცილდებიან გართობულ დისტანციას და ტიტულისკენ მზავნა უნდა ანთემაზე ანგოლასკენ ნაკრებებს.

ადგილი წარმოსადგენია, როგორ განცხრომაში არიან ეს „პროფესიონალი მკითხველები“ მეთექვსმეტეფინალური რაუნდის საწყისი შეხვედრების შემდეგ, როცა ტურნირის ერთმანეთის მიყოლებით გამოეთიშნენ ოთხგზის გვირგვინოსანი და სამგზის ფინალისტი. მამ ასე...

კანადა – სამხრეთ აფრიკა 1:0

ერთ-ერთმა თანამასპინძელმა ჯგუფში დაკავებული მეორე ადგილის გამო საკუთარი მოედნის უპირატესობა დაკარგა, თუმცა ძირითადი დროის მიწურულს ისტორია მაინც დაინერა, რადგან მეტოქის მსგავსად პირველად ითამაშა მეორე ეტაპზე.

გრაზილია – იაკონია 2:1

პირველი ხმაურიანი სენსაცია **კარლო ანჩელოტი**მ ალკვეთა, რომელმაც, როგორც სჩვევია, შესვენების შემდეგ განხორციელებული ტაქტიკურ-სასექციო რეფორმებით შეგიტყვეს უნაითო ფაფხური ნაღდი გრაზილიური ფეხბურთით შეაცვლევინა და ტაიმიზო-



ევროპის ღაისი?

ლი დაასმევინა (**კაზემირო, მარტინელი**), თანაც ნეიმარი ბოლომდე სათადარიგოთა სკამზე დატოვა.

პარაგვაი – გერმანია 1:1

შენალტებით 4:3

და მაინც, რამდენიმე საათში ბომბი მაინც გასკდა, რამაც კიდევ ერთხელ წარმოაჩინა მუნდესნაკრების გაჯანყებული კრიზისი.

კი ბატონო, იტალიელთაგან განსხვავებ-

ბით, რომლებიც ზედიზედ მესამე მუნდიალს ტოვებენ, ისინი სტაბილურად ეუფლებიან ელიტურ საგზურს, მაგრამ რაღაც რომ ისევე „დამპალია დანიის სამეფოში“, ფაქტები მონომოს – თუ წინა ორ შეხვედრაში ფავორიტთაგან ჯგუფში ჩარჩა, ამჯერად ურემი სასტარტო პლეი-ოფშივე გადაბრუნდა.

მაროკო – ნიდერლანდები 1:1

შენალტებით 3:2

თითქოს მფრინავი პოლანდიელები დაუმატებელი არიან, რადგან ზედიზედ სარეკორდო – მე-16 სამუნდილო წაუგებელი თამაში ჩაატარეს, მაგრამ საჩემპიონო ოცნება კიდევ 4 წლით აუხდენელი რჩება.

ღიას, იმ ტაქტიკით, რომელიც ამჯერად **როლანდ კუმანა** ნარინჯისფერებს დაუხაზა, მათ ტახტზე არაფერი ესაქმებათ და ისევ კარგა ხანს მოუწევთ ტიტულისთვის უმანსოლ ბრძოლა.

მიუხედავად ყველაფრისა, ნიდერლანდები ბოლო წუთამდე იგებდნენ (გაკპო), მაგრამ უპირატესობა ვერ შეინარჩუნეს, ხოლო დამატებით დროში ანტიფეხბურთი ითამაშეს და საკუთარ საჭარბოში ჩაიკეტნენ, სიდედლისთვის კი პენალტების სერიაში დასახურებულად დაისაჯნენ.

ნორვეგია – კოს დიშარი 2:1

მატჩის მიწურულს გატანილი მე-5 სამუნდილო გოლით ევროპელებს ღირსება ვიკინგთა ლიდერმა **პოლანდმა** შეუნარჩუნა. ასე რომ, წინა ბრაზილია – ნორვეგიის მერვედფინალი.

საფრანგეთი – შვედეთი 3:0

და ისევ **მზაპეს** ფენომენი – მე-3 დუბლი, მომბარდირთა დაგაში **მესისთან** გათანაბრება (6-6 გოლი) და ფორუმების ისტორიაში მასთან პირადი მონაგრის მინიმუმამდე შემცირება (19:18).

შეხიპა – ეკვატორი 2:0

მექსიკური ზღაპარი ისე გრძელდება, რომ **საფიერ ავირეს** განვრთნილ გუნდს ჯერ ერთი ბურთიც კი არ გაუშვია.

გივი ბასილაძე

75 წლის ასაკში წავიდა ჩვენგან საყოველთაოდ აღიარებული მეცნიერი და პედაგოგი, დიდსულოვანი ადამიანი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, პროფესორი გივი ბასილაძე. ამ გულისხმიერი და სპეტაკი ადამიანის ცხოვრება იყო ნათელი მაგალითი იმისა, თუ როგორ უნდა ემსახურებოდე უანგაროდ შენს სამშობლოს, მის ხალხს და მომავალ თაობებს ქვეყნის განვითარებისათვის.



1977 წელს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო და სასწავლო-კვლევითი ინსტიტუტის ზოოსაინჟინრო ფაკულტეტის დამთავრების შემდეგ სწავლა გააგრძელა და 1983 წელს დაამთავრა მოსკოვის ტიმირიაზევის სახელობის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ასპირანტურა, სადაც დაიცვა საკანდიდატო, ხოლო 2005 წელს საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტში სადოქტორო დისერტაცია და მიენიჭა სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, 2006 წელს კი პროფესორის წოდება. 2005 წლიდან მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტში, სრული პროფესორის თანამდებობაზე, იყო საქართველოს სახელმწიფო ზოოტექნიკურ-სავეტერინარო უნივერსიტეტის პრორექტორი სასწავლო-აღმზრდელობით დარგში, რძისა და ხორცის გადამამუშავების ტექნოლოგიის კათედრის გამგე, აგრეთვე შვეიცარიული აგრარული სკოლა [კავკასია] რძის პროდუქტების წარმოების პროგრამის ხელმძღვანელი.

პროფ. გივი ბასილაძე ყველასთვის საყვარელი და საზოგადოების სრულფასოვანი წევრი, დამსახურებული პროფესორის რანგში ლექციების კურსს კითხულობდა ჯერ საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო, ხოლო შემდეგ საქართველოს აგრარულ უნივერსიტეტებში, აქტიურად მონაწილეობდა ქართული ზოოტექნიკური სკოლის განვითარებაში, აქტიურად მუშაობდა საერთაშორისო სამეცნიერო კვლევებსა და პროექტებში.

პროფ. გივი ბასილაძე 100-ზე მეტი სამეცნიერო პუბლიკაციის, მათ შორის 20-ზე მეტი წიგნისა და სახელმძღვანელოს, პატენტების და პროფესიული სტანდარტების ავტორი, თანამშრომლობდა საერთაშორისო ორგანიზაციებთან: USDA, LAND O'LAKES, USAID, NFA, ევოლუციური და სხვ. 2006 წლიდან მუშაობდა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის მეცნიერებათა ინსტიტუტის მთავარ მეცნიერ-თანამშრომლად; 2014-2016 წლებში – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის დირექტორის მოადგილედ სამეცნიერო დარგში, ხოლო 2016-2017 წლებში იყო გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრის მეცხოველეობის, ვეტერინარიისა და საკვებწარმოების კვლევის დეპარტამენტის კონსულტანტი, 2020 წლიდან – საქართველოს სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიის ექსპერტი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების დარგში. 2024 წელს არჩეული იქნა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა განყოფილების წევრ-კორესპონდენტად.

პროფ. გივი ბასილაძეს მიღებული ჰქონდა მრავალი საპატიო სიგელი და პრემია მეცნიერებასა და ტექნიკის დარგში, დაჯილდოებული იყო საქართველოს ღირსების მედლითა და ღირსების ორდენით.

ჭეშმარიტად შეუფასებელია საყოველთაოდ მოსიყვარულე პიროვნებისა და მეცნიერის, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრის, პროფესორ გივი ბასილაძის ღვაწლი თანამედროვე აგრარული მეცნიერების განვითარების საქმეში. მთელი მისი სამეცნიერო და პედაგოგიური მოღვაწეობა სამაგალითოდ დარჩება მისი კოლეგებისა და სტუდენტების მესიერებაში.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმად მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ღვაწლმოსილი მეცნიერი და პედაგოგი, საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის წევრი, პროფესორი

გივი ბასილაძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია ღრმად მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა 104 წლის ღვაწლმოსილი მეცნიერი, გეოლოგია-მინერალოგიის დოქტორი, შესანიშნავი პიდროგეოლოგი, მრავალი სამეცნიერო შრომის ავტორი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე



ელენე აბაშიძე

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

ელენე აბაშიძის ხსოვნას

წლებმა და წლებმა ერთად იდინეს, და საუკუნეს გაასწრეს ოთხით, ტატოს მერნით და სულისკვეთებით, უვალი გზების სიცოცხლის ოთხით...

ბუნების ყველა მადლი და ძალი, შენი ქვეყნისთვის გაგიმეტია!

გულგაუტეხელს გვერდით დაგიდგა, ამაშიძეთა სამკვიდრო – ჭალა, მთამსვლელი ქალის მებრძოლი სულით, მახათას მთაც კი მთლად განიმსჭვალა...

შენ დედამიწას გული გაუხსენ, ყოველი გოჭის გაიგე სევდა, არ დაემონე მოტეხილ კიდურს, ტატოს სიკოჭლე სიმართლედ გღვვდა...

მცირედითაც რომ ნათდება დიდი და არსებობას ამართლებ ქალი, მტკიცედ აშენე, არც დაინგრევა, შენ აღასრულე ღვთიური ვალი!

მცხუნვარე სხივი მგეს გამოსტაცე, მთვარის ნათელი კირცხის სვეტია,

მედაა მოსულიშვილი



ქეთევან მახარაძე

ქალბატონი ქეთევან მახარაძე დაიბადა 1935 წლის 3 მაისს ქ. თბილისში, ტრადიციულ ქართულ ოჯახში. 1952 წელს მან ოქროს მედალზე დაამთავრა ქ.თბილისის ქალთა მეორე საშუალო სკოლა და სწავლა განაგრძო საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის ქიმიურ-ტექნოლოგიურ ფაკულტეტზე, რომელიც წარჩინებით დაამთავრა 1957 წელს ელექტრო-ქიმიურ წარმოებათა ტექნოლოგიის სპეციალობით.

ქალბატონ ქეთევანს ჰქონდა მედიწიურმა, თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მნიშვნელოვანი წლები ემოღვაწა ცნობილი აკადემიკოსების რაფიელ აგლაძის, არჩილ ძიძიგურის, ირაკლი უორდანიასა და სხვათა მხარდახმარ. აკადემიკოს რაფიელ აგლაძის ხელმძღვანელობით მან 1974 წელს წარმატებით დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია, რომელიც ეხებოდა ზესუფთა მანგანუმისა და მისი შენადნობების გამოყენებას ზღვის კოროზიისაგან მეტალების დაცვის მიზნით.

1978 წელს ქ.მახარაძემ აკადემიკოს ნიკოლოზ ლანდიას რეკომენდაციით მუშაობა დაიწყო საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმთან ახლად დაარსებულ საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელ კომისიაში სწავლულ მდივნად. აღნიშნულ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე მან შეუცვლელად იმუშავა 30 წლის მანძილზე. ამავდროულად ეწეოდა ნაყოფიერ სამეცნიერო საქმიანობას საქართველოს წყლის რესურსების შესწავლისა და რაციონალური გამოყენების მიმართულეებით, რასაც იგი პირუთვნელად ემსახურა სიცოცხლის მთელი დღემდე.

ქეთევან მახარაძე ავტორი და თანაავტორია 70-ზე მეტი სამეცნიერო ნაშრომისა, მათ შორის – 14 მონოგრაფიის, რომლებიც აღიარებულია სამეცნიერო-საეკონომიკური ლიტერატურად საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების კვლევის სფეროში. ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის იგი 2014 წელს დაჯილდოვდა საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის საპატიო სიგელით, ხოლო 2023 წელს [სტუ]-ის საპატიო დიპლომით.

ქალბატონი ქეთევანის მთელი ხანგრძლივი და ნაყოფიერი ცხოვრება არის თვალსაჩინო მაგალითი იმისა, თუ როგორი კეთილშინდისიერებითა და ერთგულებით უნდა ემსახუროს ერთდროულად ადამიანი საკუთარ სამშობლოს, მეცნიერებას, ოჯახს.

სამეცნიერო ცენტრის შრომითი კოლექტივი სამძიმარს უცხადებს გარდაცვლილის ოჯახს.

ლალი, ქეთევანი, გივი, სანდრო ზაფარნიძეებო თანაუგრძობენ სიძეს სოსო თავაძეს ძმის, უკეთილშობილესი ადამიანის

ნიკა თავაძის

გარდაცვალების გამო.



„თბილისი პიანო ფესტი 2026“ წარმატებული იყო

ორგანიზაციის მოადგიე გარბაშვილი ლინდა მონიჭდა მონაწილეებს...

ცენტრები კიდევ უფრო მეტ ადამიანს აძლევს კლასიკურ მუსიკასთან...



რეზო გაბრიანი თეატრში კარგი სიასლაა

Gabriadze Wonders Station-ის პრეზენტაციის სიმბოლოვანი რეზო გაბრიანის...

უნივერსალური და გლობალური კინოში, თეატრში, მხატვრობასა და ხელოვნების სხვა სფეროებში...



მეფისქალაქის საჯარო სკოლას ეკატერინე გაბაშვილის სახელი მიენიჭა

საქართველოს პარლამენტის დეპუტატები და აღმასრულებელი ხელისუფლების წარმომადგენლები...

დაც დეტალურად ნახავთ, რა პერიოდში უწევდა მას საქმიანობა...



ნინი შერვაშიანი ალიარება

მომდინარეობს 6060 შერვაშიანის ცხოვრებაში უდიდესი წარმატების დრო დადგა...



ფულოკავთ ნინის ამ უმნიშვნელოვანეს ნაბიჯს გვჯერა, რომ მისი დახმარებით უამრავი ქართველი უნიჭიერების ხმა...

სიხის გამო ეიფელის კოპი 10 სანტიმეტრით გაიზარდა

ეიფელის კოპი სიხის გამო დაახლოებით 10 სანტიმეტრით გაიზარდა...



საქართველოს რედაქცია

გამომცემელი და მთავარი რედაქტორი სპარტაკ ქობულაძე (599-36-00-35)...

sak@sak.ge

გაზეთი დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით...

იბეჭდება სტამბა „ტორში“ ზიგზაგის ქუჩა №6 uac(უაკ)070.4(479.22) C-323

რეკლამისთვის დარეკეთ: 577-77-27-17 rkobulia29@gmail.com

მოქალაქე ნომერი გამოვა ორჯერ 6 ივლისს